საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/770
22/03/2019

770-გ-19-03-2-201903221403

შპს „პროსერვ.ჯის“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

გატყობინებთ, რომ 2019 წლის 21 მარტს დანიშნული სხდომა გადაიდო და გაიმართება 2019 წლის 28 მარტს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია”) სხდომაზე განიხილება შპს „პროსერვ.ჯისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-454, 12.03.2019) და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N19-10-467, 14.03.2019).

ამასთან, გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების დამატებით მასალას - კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივ ბარათს (N19-10-510, 21.03.2019) და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივ ბარათს (N19-10-517, 22.03.2018).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 15 მარტი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „პროსერვ.ჯის“ უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-454, 12.03.2019) – 3 ფურც;
2. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N19-10-467, 14.03.2019) - 1 ფურც.;
3. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-457, 12.03.2019) - 1 ფურც;
4. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-510, 21.03.2019) -1 ფურც.;
5. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-517, 22.03.2018) - ფურც.;

ოლია ვოტ

უფროსი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ადმინისტრაცია

N 19-10-454
12/03/2019

454-შ-19-10-3-201903121345

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის
წამყვან სპეციალისტს
ქალბატონ თამარ გოშუას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის წამყვანი სპეციალისტის
ნატალია ჯანელიძის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო თამარ,
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, 2019 წლის 11 თებერვლის მოხსენებითი ბარათთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ შემდეგს:

N	კომპანია	ს/კ	ინფორმაცია რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმების წარმოდგენის ან წარმოუდგენლობის შესახებ	რეგულირების საფასურის დავალიანება წარმოდგენილი გაანგარიშების ფორმების შესაბამისად (ლარი)
1	ორბიტა-2005	205107935	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	7,6
2	აია +	221297148	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	0,61
3	მარიანა ოკლეი	1008001214	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი და 2019 წლის იანვარი	0,03
4	დანი კომპიუტერსი	243917847	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
5	თელნეტი	431165856	არ წარმოუდგენია 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	22,66
6	Net House Telecom	404431520	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
7	თებელაინი	436034346	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	89.83
8	ტელეკომპანია ო2	404424119	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
9	ჯეოპლუს	205275646	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი და თებერვალი	კომპანიამ გააიუქმა ავტორიზაცია
10	გურია-ნეტი	433643667	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	409,97

11	ჯენკოლაინი	437062456	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
12	ქიზიყი	440389795	არ წარმოუდგენია 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
13	დევკა	445446928	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი და დეკემბერი, წარმოსადგენი აქვს 2019 წლის იანვარი	
14	პროსერვ.ჯი	412706086	წარმოადგინა 2018 წლის დეკემბერი და 2019 წლის იანვარი, წარმოსადგენი აქვს 2018 წლის ნოემბერი	90,72
15	პოვერნეტ	400157557	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	19,8
16	კომინეტ ავდ	405129383	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი, და 2019 წლის იანვარი	
17	ნოვანეტი	405072175	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
18	დისქავერი ჯორჯია	405153667	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
19	ოპტუს ტექნოლოჯი	405181155	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
20	სატელიტ პლიუსი	405178203	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
21	ტ-ნეტი	419619817	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი და დეკემბერი, წარმოსადგენი აქვს 2019 წლის იანვარი	57,3
22	კავშირი თუშეთის განვითარების ფონდი	424613742	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
23	ევრო ტელეკომი	406210283	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
24	ვუსალ გარაბაგლი	12001091237	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბრის, დეკემბრის და 2019 წლის იანვარი და თებერვალი	კომპანიამ გააიუქმა ავტორიზაცია
25	3 ბიტი	405274457	წარმოადგინა 2018 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
26	4კ ტვ	404559820	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
27	მედიაკომი - (420005675)	420005675	წარმოადგინა 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერის და 2019 წლის იანვარი	3,9
28	სი სი ჯი	406260647	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	
29	სკაი ივერია	400150938	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2019 წლის იანვარი	

ასევე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული კომპანიების მიერ რეგულირების საფასურის 1,9 ფორმების წარმოუდგენლობის გამო რეგულირების საფასურის მთლიანი დავალიანება ვერ დგინდება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ მიმდინარე საქმეში.

პატივისცემით,

ნატალია ჯანელიძე

წამყვანი სპეციალისტი
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

N 19-10-517
22/03/2019

517-შ-19-10-3-201903221140

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის სამართლებლივი დეპარტამენტის
წამყვანი სპეციალისტს

თამარ გოშუას

მოხსენებითი ბარათი.

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2019 წლის 14 მარტის N19-467 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ კომპანია „პროსერვ.ჯიმ“ წარმოადგინა სტატისტიკური ამგარიშგების ფორმები.

თამარ მარღანია

მონაცემთა სიზუსტისა და ხარისხის მართვის წამყვანი სპეციალისტი
ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

N 19-10-467
14/03/2019

467-შ-19-10-3-201903141314

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის სამართლებლივი დეპარტამენტის
წამყვანი სპეციალისტს

თამარ გოშუას

მოხსენებითი ბარათი

თქვენი სამსახურებრივი ბარათის პასუხად, გაცნობებთ ბარათში მოცემული ავტორიზებული პირების მიერ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარმოდგენის სტატუსს:

ავტორიზებული პირი	სტატ.ანგარიშების ფირმების წარმოდგენის სტატუსი
თელნეტი	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბრიდან
ჯენკოლაინი	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბრიდან
ქიზიყი	არ წარმოუდგენია 2018 წლის ნოემბრიდან
პროსერვ.ჯი	არ წარმოუდგენია 2019 წლის იანვრიდან
პოვერნეტი	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბრიდან
ტ-ნეტი	არ წარმოუდგენია 2019 წლის იანვრიდან
4კ ტვ	არ წარმოუდგენია 2018 წლის ოქტომბრიდან
სი სი ჯი	არ წარმოუდგენია ავტორიზაციის გავლის დღიდან
სკაი ივერია	არ წარმოუდგენია ავტორიზაციის გავლის დღიდან

თამარ მარღანია

მონაცემთა სიზუსტისა და ხარისხის მართვის წამყვანი სპეციალისტი
ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

N 19-10-457
12/03/2019

457-შ-19-10-3-201903121649

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითერების დეპარტამენტის

უფროსს ქალბატონ ქეთევან რეხვიაშვილს

კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

წამყვანი სპეციალისტის თამარ გოშუას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ქეთევან,

გთხოვთ, გვაცნობოთ ავტორიზებულ პირებს: შპს „თელნეტს“, შპს „ჯენკოლაინს“, შპს „ქიზიყს“, შპს „პროსერვ.ჯის“, შპს „პოვერნეტს“, შპს „ტ-ნეტს“, შპს „4კ ტვ“, შპს „სი სი ჯის“, შპს „სკაი ივერიას“ წარმოდგენილი აქვთ თუ არა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

თამარ გოშუა

წამყვანი სპეციალისტი
სამართლებრივი დეპარტამენტი

N 19-10-510
21/03/2019

510-შ-19-10-3-201903211651

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის
წამყვან სპეციალისტს
ქალბატონ თამარ გოშუას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის წამყვანი სპეციალისტის
ნატალია ჯანელიძის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო თამარ,

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, 2019 წლის 11 თებერვლის მოხსენებითი ბარათთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ შპს პროსერვ.ჯიმ კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის და თებერვლის თვის რეგულირების საფასურის 1,9 ფორმები და წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად გააჩნია რეგულირების საფასურის დავალიანება 93.44 ლარი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ მიმდინარე საქმეში.

ნატალია ჯანელიძე

წამყვანი სპეციალისტი
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური